უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 3

2016 წ. "18" 01

ქ.თბილისი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (030254)	130	V	ქუთაისი -20 თბილისი - 15

2	ბიბლიოთეკარი	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (070852)	111	IV	15
3	შემფასებელი	შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020453)	135	V	ქუთაისი -20 თბილისი - 10
4	საბაჟო საქმის სპეციალისტი	საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020366)	146	V	ქუთაისი -20 თბილისი - 10
5	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (112062)	123	V	10
6	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (112063)	124	V	10
7	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (112064)	107	IV	10

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თინათინ ბრეგვაძე